საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1/47

ქ. თელავი

„01" „02" 2017 წელი.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017 წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 49-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 14-ე მუხლის მე-6 პუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს (დოქტორანტურის) დებულებების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წერილისა (01.02.2017წ.N83353) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (01/02/2017წ; N86993) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში 2017 წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა მიღება განხორციელდეს ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:

- "ტექსტოლოგიის და გამოცემათმცოდნეობა" – 3 ადგილი

2. დოქტორანტურაში ჩარიცხვა მოხდეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად;
3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების სურვილისა და ჩასაბარებელი უცხო ენის მითითებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

   ა) მოკლე სამოტივაციო წერილი, სადაც დასაბუთებული იქნება კვლევითი ინტერესები და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების სურვილი;
   ბ) განმცხადებლის ავტობიოგრაფია - CV;
   გ) 2 ფოტოსურათი ზომით 3x4;
   დ) პირადობის მოწმობის ასლი /დედანთან ერთად/;
   ე) მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დამოწმებული ასლი /დედანთან ერთად;
   ვ) მაგისტრის დიპლომთან გათანაბრებული საგანმანათლებლო დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სსიპ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობის დამადასტურებელი საბუთი. აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა დასაშვებია რეგისტრაციის პროცესში ან სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 6 თვის განმავლობაში;
   ზ) 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდის ქვითარი.

   თ) სხვა დამატებით დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება.

4. საბუთების მიღება იწარმოებს 2017 წლის 6 თებერვლიდან 2017 წლის 17 თებერვლის ჩათვლით 15:00 საათამდე. საბუთების პირველადი შემოწმება მოხდეს ფაკულტეტზე, სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ, შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები უბრუნდება წარმომდგენს, სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვიზირებულ განცხადებას, დანარჩენ საბუთებთან ერთად, საბუთების მიღების დასრულებისას, აბარებს უნივერსიტეტის კანცელარიას;
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდა ჩატარდეს 2017 წლის 20 თებერვლის 11:00 საათზე.
6. სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტების შედეგების გათვალისწინებით, ჯგუფი გაიხსნება 2 ან მეტი კონკურსანტის არსებობისას;
7. გამოცდების შედეგები გამოცხადდეს 2017 წლის 21 თებერვალს;
8. კონკურსის შედეგების გასაჩივრების ვადად განისაზღვროს 2017 წლის 22 თებერვალი;
9. დოქტორანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2017 წლის 22-23 თებერვალს;
10. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს დაევალოს:

ა) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად 2017 წლის 3 თებერვლამდე უზრუნველყონ სპეციალობის საგამოცდო საკითხების ვებ-გვერდზე განთავსება;

ბ) სპეციალობაში საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შექმნაზე წარდგინების წარმოდგენა 2017 წლის 3 თებერვლის ჩათვლით;

გ) მისაღებ გამოცდაზე დაშვების შესახებ წარდგინების წარმოდგენა 2017 წლის 17 თებერვლის ჩათვლით 17:00 საათამდე;

დ) დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ე) დოქტორანტთა ჩარიცხვის შესახებ წარდგინების წარმოდგენა 2017 წლის 23 თებერვლის ჩათვლით;

11. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების მიწოდება უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის;
12. ბრძანება გამოქვეყნდეს თესაუ-ს ვებ-გვერდზე და გამოიკრას საინფორმაციო დაფაზე;
13. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: /ირმა შიოშვილი/